DGfS
Deutsche Gesellschaft für Systemaufstellungen
Anerkannte Weiterbildung in Systemaufstellungen (DGfS)

ინტენსიური ტრენინგი

სისტემური განლაგებები

con stellators georgia

FELD INSTITUT

IASA2324 სისტემური განლაგებების ინტენსიური ტრენინგი

13 თვე / 156 საათი / 208 სასწავლო საათი (45 წუთი).

1 X 5 დღე ინტენსიური კვირა ფიზიკური დასწრებით=40 საათი.

2 X 3 დღე ინტენსიური შაბათ-კვირა ფიზიკური დასწრებით 18 საათი = 36 საათი.

20 ოთხ საათიანი ონლაინ სემინარი = 80 საათი.

უფასო დასწრება ჩვენი ონლაინ განლაგების ვორქშოპებზე და სესიებზე, ტრენინგის მსვლელობის დროს.

ცოდნის გასაღრმავებელი პრაქტიკები 1:1-ზე ან ონლაინ, მცირე ჯგუფებში.

ინდივიდუალური სუპერვიზიის დამატებითი შეთავაზება.

კომპეტენცია და სერთიფიკაცია

IASA სწავლებას გაუძღვებიან შტეფანი ჰარტუნგი და მოქშა ფეიქარი. შტეფანი არის CONSTELLATORS INTERNATIONAL-ის დამფუძნებელი, სისტემური განლაგებებით მუშაობის 25 წლიანი გამოცდილებით. მოქშა ფეიქარი არის CONSTELLATORS GEORGIA-ს დამფუძნებელი. სისტემური განლაგებებით მუშაობის 15 წელზე მეტი გამოცდილებით. შტეფანიც და მოქშაც სერთიფიცირებულები არიან როგორც განლაგებების ფასილიტატორები და ტრენერები.

ტრენინგი აღიარებულია გერმანული ასოციაციის DGfS-ის მიერ.

DGfS Deutsche Gesellschaft für Systemaufstellungen Anerkannte Lehrtrainerin (DGfS)

DGfS Deutsche Gesellschaft für Systemaufstellungen Anerkannte Lehrtrainerin (DGfS)

DGfS Deutsche Gesellschaft für Systemaufstellungen Anerkannte Weiterbildung in Systemaufstellungen (DGfS)

Forum Werteorientierung Qualität Transparenz Integrität in der Weiterbildung e.V.

სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეუძლიათ მიმართონ CONSTELLATORS INTERNATIONAL-ს საერთაშორისო სერთიფიკატისთვის (იხ გვ. 22-23).

ხალხის მსახურება

ჩვენ თავიდანვე ვიბრძვით იმ სისტემებში გადარჩენისთვის, რომელშიც დავიბადეთ - უპირველეს ყოვლისა ეს ოჯახია. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ოჯახში ვუყვარდეთ და დავიმკვიდროთ კარგი, უსაფრთხო ადგილი.

ეს იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ თავსაც კი გავწირავთ იმისთვის, რომ მივიღოთ ის, რაც გადარჩენისთვის გვჭირდება. ეს არის ჩვენი პირველი, დამოკიდებული სიყვარულის ლოგიკა - დაძაბულობის ველი, რომელშიც ყველა ვიზრდებით.

ჩვენი ადრეული სოციალური ცხოვრების გადარჩენის სტრატეგიები, მის დამოკიდებულ სიყვარულთან ერთად, დამცავი გარსის მსგავსად ფუნქციონირებს - რათა გადავირჩინოთ ჩვენი თავი და ჩვენი თანდაყოლილი პოტენციალი-ცხოვრება, რომლითაც დავიბადეთ. დამოკიდებული სიყვარულით ვცდილობთ საკუთარი თავის დაცვას.

როდესაც ურთიერთკავშირში ვართ, მაშინ ჩვენს თანდაყოლილ სიცოცხლეს, რომელიც შეიცავს ინდივიდუალურ პოტენციალს, ჩვენს გამორჩეულ თვისებებს, სურს აყვავდეს და გამოავლინოს საკუთარი თავი, ყოველგვარი მიჯაჭვულობების გარეშე.

იმისათვის, რომ განვვითარდეთ, რომ ავყვავილდეთ და შემდგარი ადამიანი ვიყოთ, ვაკვირდებით ჩვენს პატერნებს და ვაღიარებთ მათ ისეთად, როგორებიც არიან: ჩვენი სიყვარულის გამოხატულებას მათ მიმართ, ვისზეც დამოკიდებული ვიყავით თვითგადარჩენისთვის.

მხოლოდ ამ სიყვარულის დანახვით შეგვიძლია გავიგოთ, რომ ჩვენ ვართ ის ადამიანები, ვინც გადავრჩით, ჩვენ ვართ ზრდასრულები. ამრიგად, უკვე შეგვიძლია ყურადღების გადატანა წარსულიდან აწმყო მომენტზე და გარე დამოკიდებულებებიდან ჩვენს თანდაყოლილ შინაგან მე-ზე.

კვლავ ვუკავშირდებით საკუთარ თავს და ვიწყებთ საკუთარი თავის სიყვარულს.

მხოლოდ საკუთარ თავთან დაკავშირებულებმა შეგვიძლია ვიცოდეთ თუ სად არის ჩვენი ადგილი. ჩვენშივე ვპოულობთ უსაფრთხოებას. ვგრძნობთ საკუთარი თავის მიმართ სიყვარულს და აქედან გამომდინარე შეგვიძლია სიყვარული. საკუთარ თავთან დაკავშირებულები, ჩვენ უნიკალურები და განუმეორებლები ვართ.

ზრდის პროცესში განლაგებებით მუშაობა ფსიქოსოციალური ფოკუსით საოცარი დამხმარე და მძლავრი ინსტრუმენტია.

ამ ტრენინგში შტეფანი და მოქშა გასწავლიან განლაგებებთან მუშაობას ფსიქოსოციალური ფოკუსით თქვენთვის, თქვენი საყვარელი ადამიანისათვის და - რა თქმა უნდა - თქვენი კლიენტებისთვის.

ვისთვის არის განკუთვნილი ეს ტრენინგი

სისტემური განლაგებები არის დამხმარე, დამატებითი (და არა მხოლოდ) მეთოდი თერაპიული, სოციალური და საგანმანათლებლო მიმართულებებისთვის.

მისი ფენომენოლოგიური ხასიათისა და მრავალგანზომილებიანობის გამო იგი გაძლევთ გაგებას და ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას, რომლებიც სცილდებიან ჩვეულებრივი მიდგომების ჩარჩოებს. როგორც ასეთი, სისტემური განლაგება შეიძლება გავიგოთ, როგორც მეტამეცნიერება, ან მეტიც: განლაგებების მუშაობის არსი არის მეცნიერული.

ეს მას მართლაც უნიკალურს ხდის, როგორც ჰოლისტურ მეთოდს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გასულ ათწლეულებში სწორედ განლაგებით მუშაობის შედეგად განხორციელდა გარკვეული რევოლუციური მიგნებები და გადაწყვეტაზე ორიენტირებული ცვლილებები ზემოხსენებულ სფეროებში - მაგალითად, ტრავმაზე მუშაობაში.

შენთვის და შენი კლიენტებისთვის

ჩაღრმავებული თეორიული და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების გარდა, ჩვენ გთავაზობთ ინტენსიურ პირად გამოცდილებას და საკუთარი პიროვნების სიღრმისეული განვითარების შესაძლებლობას - როგორც კლიენტებთან წარმატებული მუშაობის ოპტიმალურ საფუძველს.

იმის აღქმის და იმასთან დარჩენის უნარი რაც არის, სისტემური განლაგებებით მუშაობის წინაპირობაა.

ამიტომ, ტრენინგი ასევე ინტენსიურად ავარჯიშებს თანმყოფობის, აღქმის და განზრახვისგან გათავისუფლების უნარებს.

განიცადე
დაკავშირდი
გაიზარდე

IASA ტრენინგის სტრუქტურა

კომპლექსურობის აღქმა

ჩვენ ვასწავლით სისტემურ მიდგომას, მასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიას და მის მნიშვნელობას ადამიანის განვითარებისთვის.

ამიტომ ყურადღებას ვამახვილებთ ადამიანებთან მრავალშრიანი ურთიერთობის ხარისხზე და აწმყოში არსებულ სხვა ასპექტებზე. მეთოდის სწავლებასთან ერთად, ჩვენი ტრენინგი გთავაზობთ ისეთი სისტემური უნარების დასწავლას თქვენი ყოველდღიური ურთიერთობისთვის - რომლებიც მიზნად ისახავენ თქვენ მიერ პასუხისმგებლობის აღებას იმაზე, რომ იყოთ (თანა)შემოქმედი თქვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

ჰოლისტური სწავლება

ჩვენი ჰოლისტური მიდგომა საშუალებას გაძლევთ გამოსცადოთ სისტემური ცოდნა ქმედებაში და დაფიქრდეთ თქვენს მიღებულ გამოცდილებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასევე თქვენს ინდივიდუალურ ბიოგრაფიას და ამჟამინდელ ცხოვრებისეულ საკითხებს.
რომელსაც ჩავრთავთ ტრენინგის მსვლელობის დროს, როგორც ინტენსიური თვითშემეცნების მნიშვნელოვან ელემენტს.

მეთოდის შესწავლის გარდა, ინტენსიური პირადი გამოცდილება გაზრდის თქვენი თანაგრძნობის უნარს, წაახალისებს კლიენტსა და თქვენს შორის ურთიერთგაგების და პატივისცემის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, თქვენი ცხოვრება უფრო სრულფასოვანი გახდება.

პრაქტიკა

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ განლაგებების გამოყენება საკუთარ გარემოში შეძლოთ. რეგულარული პრაქტიკა განლაგებების ფასილიტაციაში და მათი დიდ ჯგუფში განხილვა ტრენინგის ისეთივე ნაწილია, როგორც განლაგებები მცირე ჯგუფებში სუპერვაიზორის თანდასწრებით, მუშაობა მცირე ჯგუფებში, საჭიროებისამებრ ინდივიდუალური სუპერვიზია, და, ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი მონაწილეობა ჩვენს ონლაინ განლაგებების ღონისძიებებში.

IASA ტრენინგი

საფუძვლები და მიდგომები

- ტრენინგის შესავალი
- განლაგებებით მუშაობის ისტორია

სისტემური მუშაობის საბაზისო ასპექტები

- ეთიკური საზღვრები
- პატივისცემა
- სერიოზულობა
- წინასწარი განზრახვების გარეშე
- პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება
- შინაგანი ფოკუსი
- თანმყოფობა
- აღქმა
- ორმაგი აღქმა
- შენელება
- სიჩუმე
- შინაგან სამყაროსთან დაკავშირება
- საკუთარ თავთან დაკავშირება
- გამბედაობა
- ხმა
- პოზა
- სუნთქვა

თემების ჩამონათვალი

სისტემური განლაგების მეთოდი

განლაგებისთვის მომზადება

- გენოგრამა და ბიოგრაფია
- მითითება / კონტრმითითება
- როდის ღირს განლაგების ჩატარება?

გასაუბრება განლაგების დაწყებამდე

- ისწავლე მოსმენა და დააკვირდი–
  რა ითქვა, რა არ ითქვა, როგორ ითქვა?
- განსაზღვრე საკითხი
- წარმომავლობითი ოჯახი, თუ აწმყო ოჯახი?
- ვინ განეკუთვნება სისტემას?
- ვის ვაყენებ წარმომადგენლად?

სისტემური კომუნიკაციის მეთოდები

- კარლ როჯერსის კლიენტზე ცენტრირებული თერაპია
- მილტონ ერიქსონის სისტემური/ ჰიპნოსისტემური დიალოგი

სისტემის განლაგების პროცესი

- დირექტიული / არადირექტიული ფასილიტაცია
- განლაგება
- რეპრეზენტაცია და რეპრეზენტატორის წარმოდგენა
- ჩარევები, რიტუალები და გადაწყვეტაზე ორიენტირებული წინადადებები
- წინააღმდეგობისა და შემაფერხებელი ფაქტორების მართვა
- ჩახლართულობა / ქროს-ფეიდინგი / დაბნეულობა, აღრევა / პროექცია
- კრიზისში ჩარევა და პრევენცია
- პერსპექტივის შეცვლა
- ექსპერიმენტი
- კატალეფსიური ხელი

განლაგების დასრულება

- განლაგების დასრულება
- როლიდან გამოსვლა
- დოკუმენტაცია
- გამოკითხვა და შემდგომი მზრუნველობა

IASA ტრენინგი

აღქმა და გააზრება

- ჭეშმარიტება და რეალობა
- ფიზიკური, ინტუიციური და სომატური აღქმა
- ფენომენოლოგია, ახალი ფენომენოლოგია, კონსტრუქტივიზმი

სისტემური მოთხოვნები

- გეშტალტი და ღია სისტემა
- ძირითადი ფუნქციები და მათი პრინციპები ღია სისტემებში
- სიყვარულის წესრიგი და დინამიკა ოჯახურ სისტემებში
- ფუნქციონირების წესრიგი და დინამიკა ორგანიზაციულ სისტემებში

ბიოგრაფიული მუშაობა და თვითცნობიერება

ბიოგრაფიული მუშაობის საკითხები

- ტრანსგენერაციული გავლენები
- ჩასახვა
- საშვილოსნოში ყოფნა
- დაბადება
- ბავშვობა
- დამოკიდებული სიყვარული
- მოზარდობა
- იდენტობის შექმნა
- ცნობიერების სივრცეები
- მე, სელფი, ეგო, პერსონა, პერსონალობა
- ეგოდან მეობამდე
- საკუთარი თავის სიყვარული
- წარმომავლობის და ამჟამინდელი სისტემები

თემების ჩამონათვალი

განლაგების ფორმატები

განლაგების „კლასიკური'' ფორმატები

- ოჯახური განლაგება
- სიცოცხლის ინტეგრაციის პროცესი – (LIP ვილფრიდ ნელესი)
- ბავშვი და მშობლები
- დედა, სიყვარული, მე (დოქტორი რობერტ დოეჩი)
- მამა, სამყარო, მე (დოქტორი რობერტ დოეჩი)
- განლაგება წყვილებისთვის
- სხეული, სამშვინველი, სული / სხეული, გონება, ფსიქიკა
- IoPT ფრანც რუპერტის ტრავმის განლაგება
- SSI ერნსტ რობერტ ლანგლოცის ტრავმის განლაგება
- სტრუქტურული განლაგებები

ტეტრალემა (შპარერი/ვარგა ფ. კიბედი)
რწმენის პოლარობა (შპარერი/ვარგა ფ. კიბედი)
პოლარობა – რბილი გადასვლა (შტეფანი ჰარტუნგი)
მიზნის განლაგება (დიტერ დიკი)

სპეციალური ფორმატები

- ფარული განლაგება
- სიმპტომების განლაგება

განლაგების პარამეტრები

- განლაგებები ერთი-ერთზე
- ჯგუფური განლაგებები
- განლაგებები სიმბოლოებით / ფიგურებით / ნიადაგის ღუზებით
- დაფაზე განლაგება
- წარმოსახვითი განლაგება
- ონლაინ განლაგება

IASA ტრენინგი

პიროვნული განვითარება

საკითხები

- საკუთარი თავის და ინტერპერსონალური აღქმა
- უმწეობა და ბრაზი
- ძალა და უძლურება
- ავტონომია და თავის მიძღვნა
- მამაკაცის-ქალის გამოცდილება
- თვითშთაგონება და თვითგამოხატვა
- საზღვრების დადგენა
- კის და არას თქმა
- აღქმა და ინტუიცია

ტრავმა და პოსტტრავმატული დარღვევები

ტრავმის ფორმები

- ეგზისტენციალური ტრავმა
- იდენტობის ტრავმა
- დანაკარგის ტრავმა
- სექსუალური ტრავმა
- მიჯაჭვულობის ტრავმა
- სისტემური მიჯაჭვულობის ტრავმა

ტრავმის განკურნებაზე მუშაობა (განლაგებებით)

- სომატური გამოცდილება (პიტერ ა. ლევინი)
- იდენტობაზე ორიენტირებული ფსიქოტრავმის თერაპია (IoPT, ფრანც რუპერტი)
- სისტემური თვითინტეგრაცია (SSI, ერნსტ რობერტ ლანგლოცი)

ტრავმა თავის ტვინში

ტრავმა სამუშაო სამყაროში

თემების ჩამონათვალი

დემარკაციები

ორგანიზაციული განლაგებები

ოჯახური განლაგებები

განლაგებები ორგანიზაციის და პერსონალის განვითარებისთვის

ყველა სასწავლო დანაყოფში, თეორია, პრაქტიკული და თვითშემეცნების სავარჯიშოები ერწყმის მედიტაციურ მომენტებს, რაც აყალიბებს ისეთ სტრუქტურას, რომელიც ჰოლისტური სწავლების შესაძლებლობას იძლევა კოგნიტური გონების მიღმა და გაძლევთ ღრმა გამოცდილებას.

ჩვენმა მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ტრენინგი ემსახურება ინტენსიურ პიროვნულ განვითარებას.

იმისთვის რომ წარმატებულად შეძლოთ განლაგებებით მუშაობა, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ თქვენ მიერ ჰიპნოსისტემური დიალოგის ინტენსიურ პრაქტიკაზე საკონსულტაციო გარემოში, ასევე პრაქტიკული ლიდერობის გამოყენებაზე განლაგების პროცესებში.

IASA ლექციები

ჩავატარებთ ასევე რამდენიმე ლექციას, რომელიც მოგეწოდებათ დაკონსპექტებული PDF ფაილის სახით.

ყველა ლექცია შეესაბამება შტეფანი ჰარტუნგისა და ვოლფგანგ შპიტას მიერ შემუშავებულ **სისტემური განლაგებების სახელმძღვანელოს.**

ეთიკა და განლაგებები
განლაგებებით მუშაობის ისტორია
განლაგებებით მუშაობის საფუძვლები
განლაგებებით მუშაობის წესები
მითითებები და კონტრმითითებები
განლაგების პარამეტრები და ფორმატები



გეშტალტი და სისტემური თეორია
სისტემური წესრიგი
სისტემის ფუნქციები და პრინციპები
დახმარების კანონზომიერებები
სიყვარულის კანონზომიერებები
ფუნქციის / დენადობის კანონზომიერებები
ჭეშმარიტება
აღქმა



ფენომელოგია
კონსტრუქტივიზმი
ჰიპნოსისტემური დიალოგი ბიოგრაფიული სამუშაო
ეგო, სელფი, პიროვნება, პიროვნულობა
ტრავმა
ტვინში მიმდინარე პროცესები ტრავმის დროს
ტრავმის განლაგებები
სომატური გამოცდილება

შტეფანი – ჩემს შესახებ

დავიბადე 1959 წელს. ვარ ერთი ზრდასრული ვაჟის დედა. ჩემს პარტნიორთან ერთად ვცხოვრობ კიოლნში, გერმანიაში და ბრიუგეში, ბელგიაში.

1977-82 წლებში დიუსელდორფის Staatliche Kunstakademie-ში ხელოვნების შესწავლის შემდეგ, ვმუშაობდი მხატვრად 13 წლის განმავლობაში, სანამ 1995 წელს გადავიდოდი ბიზნესში. პირველად სისტემურ განლაგებებს1997 წელს შევეხე.

1995 წლის შემდეგ, ჰაგენის უნივერსიტეტში მენეჯმენტის სწავლის გარდა, განათლება მივიღე გეშტალტთერაპევტად და დავასრულე რამდენიმე სასწავლო კურსი სისტემურ განლაგებებში, სისტემურ ქოუჩინგსა და ჰიპნოზში.

როგორც FELD INSTITUT-ის მმართველი პარტნიორი, ვარ მრჩეველი და საკადრო ორგანიზაცებს ვეხმარები ორგანიზაციულ განვითარებაში. ვკითხულობ ლექციებს სისტემური ორგანიზაციული განვითარების შესახებ ევროპის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში.

როგორც თერაპევტი, ქოუჩი და განლაგებების ფასილიტატორი დაახლოებით 25 წელია ვუწევ კონსულტაციას ჩემს კლიენტებს პირად და პროფესიულ საკითხებში. როგორც სერტიფიცირებული ტრენერი, 2015 წლიდან ვთავაზობ სერტიფიცირებულ ტრენინგს განლაგებებით მუშაობაში როგორც თერაპიული, ასევე ორგანიზაციული მიმართულებით.

ვარ ავტორი და ვწერ ჩემს სამუშაო თემებზე.

როგორც CONSTELLATORS INTERNATIONAL CI-ის დამფუძნებელი, მხარს ვუჭერ განლაგებების საერთაშორისო პოპულარიზაციას და ვეხმარები ჩემს კოლგებს პროფესიულ პრაქტიკაში.

ჩემთვის განსაკუთრებული სიამოვნებაა ჩემს კოლეგასთან, მოქშასთან მუშაობ CONSTELLATORS GEORGIA-დან, რომელიც CI-ს შვილობილი ორგანიზაციაა.

მოქშა – ჩემს შესახებ

დავიბადე 1973 წელს. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის (1990 წლიდან 1995 წლამდე) შესწავლის შემდეგ, ვმუშაობდი გრაფიკულ დიზაინერად და ვებ დეველოპერად მანამ, სანამ ინტერესი გამიჩნდებოდა განვითარებისა და კონსულტაციის მიმართ ციფრული SAP პროდუქტების სფეროში.

20 წელზე მეტი ვიმუშავე მენეჯმენტის კონსულტანტად SAP-ის სხვადასხვა რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებში. მივიღე დიდი გამოცდილება გუნდის მენეჯმენტის, ქოუჩინგის, ბიზნეს პროცესების კონსულტაციისა და პროგრამული უზრუნველყოფის სფეროებში.
ჩემი კლიენტები იყვნენ ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიც არიან: Kyocera, HeidelbergCement, Deutsche Bahn და Lufthansa Systems.

როდესაც 2008 წელს ბერტ ჰელინგერს შევხვდი, ძალიან გამიტაცა სისტემურმა განლაგებებმა და შემიყვარდა ეს მეთოდი. UTA აკადემიაში, კიოლნში, რამდენიმე ტრენინგი გავიარე DGfS-ის აღიარებულ თერაპევტებთან და მასწავლებლებთან - რამატირთჰა დოეჩთან, სუბოდი შვაიცერთან და დვარი დოიჩთან.

დღეს ვმუშაობ ოჯახური და სისტემური განლაგებების სერტიფიცირებულ ფასილიტატორად და UTA აკადემიის ტრენერად.

გთავაზობთ კონსულტაციებს, ტრენინგებს და ქოუჩინგს სისტემურ ორგანიზაციულ განვითარებაში გერმანიაში, მთელ მსოფლიოში და ასევე ჩემს სამშობლოში, საქართველოში. საქართველოში, შტეფანი ჰარტუნგთან ერთად, ჩართული ვარ განლეგებების პოპულარიზაციაში, სხვადასხვა განლაგებებსა და სასწავლო პროექტებში.

როგორც CONSTELLATORS INTERNATIONAL-ის (CI) მრჩეველთა საბჭოს წევრისთვის და როგორც CONSTELLATORS GEORGIA-ს დამფუძნებლისთვის, ჩემთვის განსაკუთრებული პატივია CI-ის დამფუძნებელთან და ჩემს კოლეგასთან შტეფანისთან მუშაობა.

IASA სარგებელი + თანამონაწილეობა

ჩვენი ინტენსიური ტრენინგის სარგებელი სცილდება მხოლოდ მეთოდოლოგიური უნარების შესწავლას. ის მიზნად ისახავს ჰოლისტურ პიროვნულ განვითარებას და კარგად დასაბუთებული პროფესიული ცოდნის გადაცემას თერაპიულ, სოციალურ და პედაგოგიურ სფეროებში.

ინტენსიური თვითცნობიერება, პიროვნული განვითარება და ცენტრირება აქ და ახლა მომენტში, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იმ უნარების გამომუშავებას, რომლებიც შესაძლებლობას მოგცემთ თავდაჯერებულად ჩამოაყალიბოთ საკუთარი ცხოვრება და ამასთან ერთად სათანადო მეგზურობა გაუწიოთ კლიენტებს.

ჩვენი ინტენსიური ტრენინგი არ წარმოადგენს ფსიქოთერაპიას და არ ცვლის მას. ტრენინგში მონაწილეობა არ შეუძლიათ ფსიქიკურად დაავადებულებს და მწვავე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს. თუ ტრენინგის განმავლობაში მონაწილე გადის ფსიქოთერაპიულ მკურნალობას, ჩვენ ვითხოვთ მკურნალი თერაპევტის წერილობით ნებართვას.

მონაწილეები უნდა იყვნენ მინიმუმ 20 წლის. ნებისმიერი პროფესიული გამოცდილება ამ სფეროში სასარგებლოა, მაგრამ არ წარმოადგენს აუცილებლობას.

ტრენინგი აღიარებულია გერმანიის სისტემური განლაგებების საზოგადოების (DGfS) მიერ. ის მოიცავს სულ 156 საათს / 208 სასწავლო საათს (45 წთ თითოეული) ონლაინ და პირად შეხვედრებს.

ტრენინგის წარმატებით დასრულებისთვის მოგეთხოვებათ მონაწილეობა სულ 130 საათში/173 სასწავლო ერთეულში, (რომელიდანაც თითოეული 45 წუთი გრძელდება) ასევე აუცილებელია მცირე ჯგუფებში მუშაობის მინიმუმ 20 საათი.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეები მიიღებენ 1 წლიან საერთაშორისო სერთიფიკატს CONSTELLATORS INTERNATIONAL-ის მიერ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ გვერდები 22-23.

IASA თარიღები და ადგილები

IASA-ს ჰიბრიდული სწავლება ჩატარდება ონლაინ და ასევე თბილისში.

3 ოფლაინ = 2 X 3 დღე თბილისში, პარ. 12-18, შაბ. 10-18, კვირ. 10-14
(2 X18 = 36 საათი.)

5 ოფლაინ =1 X 5 დღე თბილისში, სამშ.-შაბ. 10-18 (40 საათი)
ვშ (ვორქშოპი) = 20 X 4 საათიანი ონლაინ სემინარი (80 საათი)

2023		**2024**	
5 ოფლაინ	23-27 მაისი	**ონლაინ 11+12**	10/11 იანვარი
ონლაინ 1+2	28/29 ივნისი	**ონლაინ 13+14**	14/15 თებერვალი
ონლაინ 3+4	06/07 სექტემბერი	**ონლაინ 15+16**	06/07 მარტი
3 ოფლაინ	15/17 სექტემბერი	**ონლაინ 17+18**	03/04 აპირილი
ონლაინ 5+6	27/28 სექტემბერი	**ონლაინ 19+20**	08/09 მაისი
ონლაინ 7+8	25/26 ოქტომბერი	**3 ოფლაინ**	31 მაისი -2 ივნისი
ონლაინ 9+10	06/07 დეკემბერი		

3 ოფლაინ და **5** ოფლაინ პრეზენტაციის მოდულები ტარდება თბილისში, (მისამართი)

სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ გამოგეგზავნებათ Zoom-ის ონლაინ მოდულების ბმულები, თუმცა უშუალოდ სწავლის დაწყების წინ ჩვენ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ და გამოგიგზანით მათ.

ჩვენი ტრენინგების მონაწილეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ჩვენს ონლაინ განლაგებებში უფასოდ.

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეებს ვთავაზობთ სუპერვიზიას და ქოუჩინგს შეღავათიან ფასად.

IASA სწავლის გადასახადი

სწავლის საფასურია 2800 ევრო პლუს დღგ. საქართველოში არსებული ეკონომიკურ მდგომარეობის გამო, ეს არის შეღავათიანი ფასი.

ღირებულებაში შედის დაახლ. 208 სასწავლო საათი, სასწავლო მასალა PDF ფორმატში და CONSTELLATORS INTERNATIONAL-ის ერთწლიანი უფასო სერთიფიკატი (იხ. გვერდები 22,23). ფასში შედის წასახემსებლები და სასმელები, რომელიც შემოთავაზებული იქნება საპრეზიდენტო შეხვედრების დროს.

ადრეული რეგისტრაცია

31.01.2023 წლამდე რეგისტრაციის შემთხვევაში გთავაზობთ 10%-იან ფასდაკლებას დღგ-ს გარეშე. ფასდაკლება მოქმედებს მხოლოდ 1R ერთიან გადახდებზე (იხილეთ ცხრილი).

გადახდა

კოდი	**გადახდის ფორმა**	**ადრეული რეგისტრაცია 31.01.2023**	**საფასური 01.01.2023-დან**
1 (გადახდა)	ერთიანი	2.520 ევრო€	2.800 ევრო
2 (გადახდა)	ორ ნაწილად	-	1.420 ევრო
4 (გადახდა)	ოთხ ნაწილად	-	720 ევრო

გადახდის სხვადასხვა ფორმა მოქმედებს განსაზღვრულ თარიღებში:

1 (გადახდა) - ადრეული რეგისტრაცია / ჩვეულებრივი ღირებულება 2.05.2023-მდე
2 (გადახდა) - 02.05.2023-მდე / 01.11.2023-მდე
4 (გადახდა) - 02.05.2023-მდე / 01.09.2023 -მდე/ 31.12.2023 -მდე/ 31.03.2024-მდე

IASA რეგისტრაცია

რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს წერილობით, ან ი-მეილის საშუალებით. გთხოვთ, გამოიყენოთ ბოლო გვერდზე შემოთავაზებული შაბლონი.

რეგისტრაციის შემდეგ, ჩვენგან მიიღებთ ინვოისს, რომელზეც მითითებული იქნება გადახდის თარიღები - თქვენი სასურველი გადახდის ფორმის მიხედვით.

როგორც კი თქვენი პირველი გადახდა ჩაირიცხება ჩვენს ანგარიშზე, თქვენი ადგილი დაიჯავშნება.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 02 მაისი, პარასკევი.

რეგისტრაციის გაუქმება

რეგისტრაციის გაუქმებისთვის საჭიროა წერილობით მიმართოთ FELD ინსტიტუტს.

წერილის მიღების თარიღი გადამწყვეტია გაუქმების ღირებულების განსაზღვრისთვის.

- თუ რეგისტრაცია გაუქმდა ტრენინგის დაწყებამდე 2 კვირით ადრე, მონაწილე იხდის გაუქმების ღირებულებას 150 ევროს ოდენობით.

- თუ გაუქმება მოხდება ამის შემდეგ ან ტრენინგის პირველი დღის შემდეგ, მონაწილემ უნდა გადაიხადოს 200 ევრო სწავლის საფასურიდან, პლიუს დაუქმების საფასური 150 ევრო.

- 2023 წლის 23-27 მაისიდან 5ოფლაინ მოდულის მესამე დღის შემდეგ გაუქმების შემთხვევაში, მონაწილე იხდის სწავლის სრულ გადასახადს 2800 ევროს პლუს დღგ.

con stellators inter national

con stellators georgia

FELD INSTITUT

განლაგების ფასილიტატორების საერთაშორისო აღიარება

Constellators International (CI) მხარს უჭერს განლაგებების ფასილიტატორებს მთელ მსოფლიოში თავიანთი ბიზნესის წარმართვაში, იმ პროფესიონალისთვის საერთაშორისო სერთიფიკატის შეთავაზებით, რომელმაც მინიმუმ 90 საათიანი ტრენინგი გაიარა, არ აქვს მნიშვნელობა განლაგებების რომელი მიმართულების თუ ფილოსოფიური სკოლის წარმომადენელია ეს უკანასკნელი.

FELD INSTITUT-ი (FI) ტრენინგის მონაწილეებს CI გთავაზობთ უფასო ერთწლიან სერთიფიკატს. ამისთვის FI უზრუნველყოფს ტრენინგის ყველა მონაწილისთვის ფასდაკლების კოდის გადაცემას სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ.

დამატებითი ინფორმაციისთვის იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც Constellators International სთავაზობს განლაგების ფასილიტატორ კოლეგებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გთხოვთ, ეწვიოთ ბმულს:
https://constellators-international.com